




საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში №49/04

2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს ეზღუდებათ სესხების გაცემა მომხმარებელთათვის გადამხდელუნარიობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის თანახმად:

- ბანკის მიერ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული ყველა სესხის საერთო თანხა (გარდა ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში არსებული სესხის თანხისა) არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;
- ბანკის მიერ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ყველა სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;
- ლიმიტების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული ის სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში განთავსებული დეპოზიტებით (უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში), როდესაც სესხის ვალუტა და დეპოზიტის ვალუტა არის ერთი და იგივე, სესხის ვადა არ აღემატება დეპოზიტის ვადას და დეპოზიტი უპირობოდ აღსრულებადია ბანკის სასარგებლოდ.





საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2018 წლის 30 აპრილიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (№ 2/7/667) ძალადაკარგულად გამოცხადდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, „საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს ... საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით.“ ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით (№ 2/8/734) არაკონსტიტუციურად ცნო საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება. ამის შესაბამისად, პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტები, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნული გადაწყვეტილებებით დადგენილ მოთხოვნებს.

ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად:

- საგადასახადო ორგანო, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს საბაზრო ფასით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი დააკმაყოფილებს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ კრიტერიუმებს;
- საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობა პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ სასამართლომ, ნაცვლად შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობისა, აუცილებელია განიხილოს ზეპირი მოსმენით 5 დღის განმავლობაში, რაც შესაძლებლობას აძლევს მხარეებს წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები და მტკიცებულებები;
- თუ გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველია 265-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა (საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ პირი გეგმავს თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით), საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, თუმცა მხოლოდ იმ ღირებულების ფარგლებში, რომელიც მოიცავს მითითებული წინაპირობით გათვალისწინებულ აქტივებს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა გადასახადის გადამხდელს საგადასახადო დავალიანება. თუ სასამართლო საგადასახადო ორგანოს არ მისცემს ნებართვას გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა უქმდება.

შესაძლო ცვლილებები შრომის კოდექსში

2018 წლის 10 აპრილს პარლამენტში ინიცირებულ იქნა შრომის კოდექსში შემავალი შესაძლო ცვლილებების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სტაჟიორის (პრაქტიკანტის) უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას, რომლის საშუალებითაც სტაჟიორის (პრაქტიკანტის) შრომითი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი უფლებები დაცული იქნება.

ცვლილებების თანახმად:

- შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. შრომითი ურთიერთობა ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ანაზღაურებით, ანაზღაურების გარეშე შრომითი ურთიერთობას სტაჟიორსა(პრაქტიკანტი) და დამსაქმებელს შორის;
- დასაქმებული სტაჟიორი(პრაქტიკანტი) არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კვალიფიკაციის ამაღლების, გამოცდილების მიღების ან/და პროფესიული განვითარების მიზნით დამსაქმებელთან ამყარებს შრომით ურთიერთობას ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით;
- სტაჟიორის(პრაქტიკანტის) უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, მათ შორის შვებულებასთან დაკავშირებული საკითხები, განისაზღვრება სტაჟიორსა(პრაქტიკანტი) და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შრომითი ხელშეკრულება იდება დამსაქმებელსა და სტაჟიორს(პრაქტიკანტს) შორის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ურთიერთობის გაგრძელებისას, უნდა მოხდეს ახალი ხელშეკრულების დადება არაუმეტეს იმავე ვადისა.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი

gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცე ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცე ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანია და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაართოთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

@ 2018 შპს დელოიტი და ტუმე. ყველა უფლება დაცულია.